თავი I. ტელევიზია

თავი I. I . კომერციული რეკლამა

სამუშაო დღეები				
პროგრამისგასვლისდრო	პროგრამა	გასვლისდღე	ბლოკის პოზიცია (*1წთ. ფასი ლარებში*)	
			გადაცემამდე	გადაცემაში
09:00	თოქ-შოუ რადიოვიზია	ორშ-პარ	255	
10:00	თოქ-შოუ რადიოვიზია	ორშ-პარ		300
11:00	დოკ.ფილმი	ორშ-პარ	255	
12:00	საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი"	ორშ-პარ	255	
13:00	სერიალი	ორშ-პარ	300	
14:00	დოკ.ფილმი	ორშ-პარ	300	
15:00	საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი"	ორშ-პარ	300	
16:00	მხ. ფილმი	ორშა-პარ	300	
17:00	მხ. ფილმი	ორშა-პარ		300
18:00	საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი"	ორშა-პარ	300	
18:30	საავტორო გადაცემა	ორშა-პარ	300	

მუხლი 1.

1. სარეკლამო ვიდეორგოლი წარმოდგენილი უნდა იყოს 20 (ოცი) წამიანი , 30 (ოცდაათი) წამიანი ან 60 (სამოცი) წამიანი ხანგრძლივობით.
2. სრული წუთის გაყოფასთან ერთად პროპორციულად იყოფა ღირებულება;
3. ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 2.

1. საეთერო ბადე იყოფა ორ ზოლად - დილის ზოლად და შუადღის ზოლად:
2. ამ პუნქტით გათვაისწინებული დილის ზოლი არის 09:00 დან 11:59 საათამდე, ხოლი შუადღის ზოლი - 12:00 დან 18:59 საათამდე:
3. საეთერო ბადის ყოველ ერთ საათში, კომერციული რეკლამისათვის გამოყოფილი კანონით დადგენილი მაქსიმალური დროის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წუთს.
4. კომერციული რეკლამის განთავსება არ განხორციელდება საინფორმაციო გამოშვებების ჭრაში;
5. ზოლში კომერციული რეკლამის განთავსების უფლება შეიძლება გაიყიდოს **ერთიანად ან ნაწილობრივ**;
6. ერთი დღის დილის ზოლის ერთიანი ფასის ღირებულებაა - 3195 ლარი;
7. ერთი დღის შუადღის ზოლის ერთიანი ფასის ღირებულებაა - 6300 ლარი;
8. დაუშვებელია 1 საათიანი მონაკვეთის ფარგლებში კომერციული რეკლამის განსათავსებლად კანონით დადგენილი განსაზღვრული ლიმიტის (3 წუთი) შეძენა ერთი და იმავე შინაარსის კომერციული რეკლამის განსათავსებლად.
9. თითოეული ზოლის **ერთიანი** გასხვისება შესაძლებელია არანაკლებ ერთი კვირის (5 სამუშაო დღისა) ოდენობით.
10. ზოლის ერთიან შემძენზე განხორციელდება ფასდაკლება, კერძოდ:

10.1.ერთკვირიანი ერთი ან ორივე ზოლის ერთიან შემძენზე საერთო ღირებულების - 10% (ათი) პროცენტი;

10.2.ერთ თვიანი ერთი ან ორივე ზოლის ერთიან შემძენზე საერთო ღირებულების -30% (ოცდაათი) პროცენტი;

10.3.ერთ წლიანი და მეტი (არა უმეტეს ხუთი წლისა) ერთი ან ორივე ზოლის შეძენის შემთხვევაში საერთო ღირებულების -50 % (ორმოცდაათი) პროცენტი;

10.4.ამ პუნქტით გათვალისწინებულ კვირაში იგულისხმება 5 სამუშაო დღე, ხოლო თვეში 20 სამუშაო დღე;

10.5. თვის განმავლობაში სამუშაო დღეების მეტობის ან ნაკლებობის შემთხვევაში, განთავსების უფლების შემძენი იხდის მხოლოდ 20 სამუშაო დღის ღირებულებას;

11. ამ წესით განსაზღვრული კვირეები და თვეები შეიძლება არ დაემთხვეს კალენდარული წლის კვირეებსა და თვეებს;
12. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლებები ვრცელდება ასევე იმ დაინტერესებულ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ ზოლის ერთიანად შეძენის სურვილი, მაგრამ მათ მიერ უწყვეტად გადასახდელი განთავსების ღირებულების ჯამი შეადგნეს მე-6 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე მოცულობის შესაბამის ჯამს მაინც. ამ პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლება ხორციელდება შესაბამისი ჯამისთვის გათვალისწინებული ფასდაკლების ოდენობით;
13. ამ წესის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 თვეს;
14. ხელშეკრულების დადების დროს, მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო დღეების დაჯამებისას არ გამოიყენება 6.5. პუნქტით გათვალისწინებული პირობა (სამუშაო დღეების გაანგარიშება ხდება სრულად).

მუხლი 3.

წარმოდგენილი/განსათავსებელი კომერციული რეკლამა:

ა)უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიული ვიდეო-აუდიო ტექნიკით;

ბ)უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სატელევიზიო/რადიო მოთხოვნებს: კადრირების რიტმს, ტექსტის ლაკონურობას, მოქნილობას, ვიდეო გამოსახულების ხარისხს, რგოლისთვის მისადაგებულ მუსიკალურ რიტმს;

გ)გამოსახულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ტექნიკური წუნის შემცველი, დაცული უნდა იყოს ხმის ბალანსი;

დ) უნდა იყოს დაცული ქართული სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი ნორმები და სტანდარტები. დაუშვებელია სლენგის, ბარბარიზმების გამოყენება;

ე) უნდა აკმაყოფილებდეს საეთერო მეტყველებისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს;

ვ) შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;

მუხლი 4.

წარმოდგენილი რეკლამა უნდა იყს შემდეგი ვიდეოფორმატის:

mp4 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით, "HighBitRate"რეჟიმი, მინიმუმ 30 mbps.)

Quicktime mov 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით ან Photo JPG -100% quality)•

თავი I. I I .გასართობი გადაცემისა და სერიალის სპონსორობის წესი

სტატუსი	ღირებულება ლარში
წარმდგენი	1000
გენერალური სპონსორი	900
სპონსორი	800

მუხლი 1.

სპონსორის ვიდეო რგოლის განთავსება დღის განმავლობაში, ხორციელდება 7 ჯერ, კერძოდ:

გადაცემაში/სერიალში თავსდება სამჯერ (დაწყებისას, ჭრაში და დასრულებისას), ხოლო ანონსირებისას 4-ჯერ.

თითოეული სასპონსორო ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წამს;

ერთი კალენდარული კვირის განმავლობაში, სპონსორის ვიდეო რგოლით წარდგენა ხორციელდება 49 ჯერ;

მუხლი 2.

1. გადაცემის/სერიალის სპონსორობა სტატუსის მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად, კერძოდ: **წარმდგენად, გენერალურ სპონსორად** და **სპონსორად**. ამ პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიებით დაყოფა ემსახურება განსხვებებს ფასებსა და თანმიმდევრობაში:

პირველად ეთერი ეთმობა წარმდგენს, შემდეგ გენერალურ სპონსორს, ხოლო ბოლოს სპონსორს.

2.ერთი და იგივე დამკვეთი არ შეიძლება იყოს ორი და მეტის სტატუსის მატარებელი; გადაცემას ერთდოულად შეიძლება ჰყავდეს წარმდგენიც, გენერალური სპონსორიც და სპონსორიც;

3.გადაცემას ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს რამოდენიმე წარმდგენი, რამოდენიმე გენერალური სპონსორი და რამოდენიმე სპონსორი. ერთი და იგივე სტატუსის მქონე რამოდენიმე დამკვეთის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის ნუმერაციის მინიჭება (თანმიმდევრობა) დამოკიდებულია ხელშეკრულების დადების თანმიმდევრობაზე (მაგ. პირველ იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით წარმდგენი პოზიცირებით უპირატესობაშია ორ იანვარს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან). ამ პუნქტით გათვალისწინებული პოზიცირების უპირატესობა დამკვეთს ენიჭება მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (ამ უფლებას იგი ვერ მოიპოვებს ხელშეკრულებაში ცვლილებით).

მუხლი 3.

1.სპონსორობის მინიმალური ვადა არის ერთი კვირა.

2. სასპონსორო ტიხარი არ უნდა წარმოადგენდეს სარეკლამო რგოლს.

მუხლი 4.
ფასი მოცემულია ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით.

თავი I. III. პროდუქტის (საქონლის/მომსახურება) განთავსება (product placement)

მუხლი 1.

პროდუქტის (საქონლის/მომსახურება) განთავსება გულისხმობს განსაზღვრული კატეგორიის გადაცემებში პროდუქციის ან ფირმის მაიდენფიცირებელი კომპონენტის განთავსებას ისე, რომ მას არ მიეცეს გადაჭარბებული მნიშვნელობა და არ შეცვალოს გადაცემის შინაარსი.

მუხლი 2.

პროდუქტის განთავსება შესაძლებელია: მხატვრულ ფილმში, ტელეფილმში, სერიალში, ფილმის (გარდა დოკუმენტური ფილმისა) სერიაში, სპორტულ პროგრამასა და გასართობ გადაცემაში (გარდა საბავშვო გადაცემისა).

მუხლი 3.

პროდუქტის (საქონლის/მომსახურება) განთავსების ფასები:

ა)30 წუთამდე - 100 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

ბ) 30-დან - 60 წუთამდე - 200 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

თავი II. რადიო

თავი II. I. კომერციული რეკლამა

სამუშაოდღეები				
პროგრამისგასვლისდრო	პროგრამა	გასვლისდღე	ბლოკის პოზიცია *(1წთ. ფასი ლარებში)*	
			გადაცემამდე	გადაცემაში
11:00	მუსიკა	ორშ-პარ	200	
12:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშ-პარ	200	
13:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშ-პარ	180	
14:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშ-პარ	180	
15:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშ-პარ	180	
16:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშა-პარ	180	
17:00	საინფორმაციო გამოშვება	ორშა-პარ	180	
18:00	მუსიკა	ორშა-პარ	180	
18:55	საინფორმაციო გამოშვება	ორშა-პარ	180	

მუხლი 1.
1. სრული წუთის გაყოფასთან ერთად პროპირციულად იყოფა ღირებულება;
2. ფასები მოცემულია ეროვნულ ვალიუტაში დღგ-სჩათვლით;

მუხლი 2.

2. საეთერო ბადეში კომერციული რეკლამა განთავსდება 11:00 სთ.-დან - 18:59 სთ.-მდე.
3. საეთერო ბადეში, კომერციული რეკლამისათვის გამოყოფილი კანონით დადგენილი მაქსიმალური დროის ხანგრძლივობა ყოველ ერთ საათში 3 წუთს შეადგენს.
4. კომერციული რეკლამის განთავსება არ განხორციელდება საინფორმაციო გამოშვებების ჭრაში;
5. საეთერო ბადეში, კომერციული რეკლამის განთავსების უფლება შეიძლება გაიყიდოს **ერთიანად ან ნაწილობრივ;**
   5.1. საეთერო ბადის ერთი დღის კომერციული რეკლამის(11:00-დან 18:59-მდე) საერთო ღირებულებაა - 4980(ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი;
6. დაუშვებელია 1 საათიანი მონაკვეთის ფარგლებში, კომერციული რეკლამის კანონით დადგენილი განსაზღვრული ლიმიტის (3 წუთი) შეძენა ერთი და იმავე შინაარსის კომერციული რეკლამის განსათავსებლად.
7. მთლიანი საეთერო ბადის **ერთიანი** გასხვისება შესაძლებელია არანაკლებ ერთი კვირის (5 სამუშაო დღისა) ოდენობით.
8. საეთერო ბადეში კომერციული რეკლამის ერთიან შემძენზე განხორციელდება ფასდაკლება, კერძოდ:
   8.1. ერთიკვირის ოდენობით - საერთო ღირებულების -10 (ათი)%.
   8.2. ერთი თვის ოდენობით - საერთო ღირებულების -30 (ოცდაათი)%.
   8.3. ერთი წლის და მეტის ოდენობით - საერთო ღირებულების -50 (ორმოცდაათი)%;
   8.4. ამ პუნქტით გათვალისწინებულ კვირაში იგულისხმება 5 სამუშაო დღე, ხოლო თვეში 20 სამუშაო დღე;
   8.5. თვის განმავლობაში სამუშაო დღეების მეტობის ან ნაკლებობის შემთხვევაში, განთავსების უფლების შემძენი იხდის მხოლოდ 20 სამუშაო დღის ღირებულებას;
9. ამ წესით განსაზღვრული კვირეები და თვეები შეიძლება არ დაემთხვეს კალენდარული წლის კვირეებსა და თვეებს;
10. მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლებები ვრცელდება ასევე იმ დაინტერესებულ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ საეთერო ბადის ერთიანად შეძენის სურვილი, მაგრამ მათ მიერ უწყვეტად გადასახდელი განთავსების ღირებულების ჯამი შეადგნეს მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე მოცულობის შესაბამის ჯამს მაინც. ამ პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლება ხორციელდება შესაბამისი ჯამისთვის გათვალისწინებულ ფასდაკლების ოდენობით;
11. მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 თვეს;
12. მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების დროს, სამუშაო დღეების გამოანგარიშებისას არ გამოიყენება 8.5. პუნქტით გათვალისწინებული პირობა (სამუშაო დღეების გაანგარიშება ხდება სრულად);

მუხლი 3.

წარმოდგენილი/განსათავსებელი კომერციული რეკლამა:

ა) უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიული ვიდეო-აუდიო ტექნიკით;
ბ) უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე რადიო მოთხოვნებს:
გ) უნდა იყოს დაცული ქართული სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი ნორმები და სტანდარტები.
დ)დაუშვებელია სლენგის, ბარბარიზმების გამოყენება;
ე)უნდა აკმაყოფილებდეს საეთერო მეტყველებისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს;
ვ)შინაარსი არუნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;

მუხლი 4.
წარმოდგენილი რეკლამა უნდა იყოს 48.000 kHz Stereo აუდიო ფორმატის.

თავი II. II.გასართობი გადაცემის სპონსორობის წესი

სტატუსი	ღირებულება (ლარი)
წარმდგენი	700
გენერალური სპონსორი	600
სპონსორი	500

მუხლი 1.
1.ერთი დღის განმავლობაში **სპონსორის** აუდიო რგოლებით წარდგენა ხორციელდება 10 ჯერ, კერძოდ:
გადაცემაში (გარდა „გასართობ-შემეცნებითი გადაცემა „რადიოვიზიისა“) თავსდება5-ჯერ (დაწყებისას, ჭრებში და დასრულებისას), ხოლო ანონსირებისას 5-ჯერ.
თითოეული სასპონსორო ვიდეოს ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წამს;
კვირის განმავლობაში სპონსორის აუდიო რგოლით წარდგენა ხორციელდება 70 ჯერ;

მუხლი 2.
1.გადაცემის(გარდა „გასართობ-შემეცნებითი გადაცემა „რადიოვიზიისა“) სპონსორობა სტატუსის მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად, კერძოდ: წარმდგენად, გენერალურ სპონსორად და სპონსორად. ამ პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიებით დაყოფა ემსახურება განსხვებებს ფასებსა და თანმიმდევრობაში:
პირველად ეთერი ეთმობა წარმდგენს, შემდეგ გენერალურ სპონსორს, ხოლო ბოლოს სპონსორს.
2.ერთი და იგივე დამკვეთი არ შეიძლება იყოს ორი და მეტის სტსტუსის მატარებელი;
გადაცემას ერთდოულად შეიძლება ჰყავდეს წარმდგენიც, გენერალური სპონსორიც და სპონსორიც;
3.გადაცემას ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს რამოდენიმე წარმდგენი, რამოდეიმე გენერალური სპონსორი და რამოდენიმე სპონსორი. ერთი და იგივე სტსტუსის მქონე

რამოდენიმე დამკვეთის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის ნომერაციის მინიჭება (თანმიმდევრობა) დამოკიდებულია ხელშეკრულების დადების თანმიმდევრობაზე (მაგ. პირველ იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით წარმდგენი პოზიციერებით უპირატესობაშია ორ იანვარს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან). ამ პუნქტით გათვალისწინებული პოზიციერების უპირატესობა ენიჭება მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (ამ უფლებას დამკვეთი ვერ მოიპოვებს ხელშეკრულებაში ცვლილებით).

მუხლი 3.

1.სპონსორობის მინიმალური ვადა არის ერთი კვირა.

2. სასპონსორო ტიხარი არ უნდა წარმოადგენდეს სარეკლამო რგოლს.

მუხლი 4.

ფასი მოცემულია ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით.